პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 17 ივლისი 1925 წ. | წელიწადი მეხუთე | ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 159 (857) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24 განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## სასტიკად დაიცავით სამხედრო საიდუმლოება.

სამხედრო საქმეში საიდუმლოებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

სამხედრო საიდუმლოებას შეიცავს ჯარის რაოდენობა, მისი ბინადრობა, მისი შეიარაღება, ბრძოლის უნარი და სხვა.

ჩვენი მტრები მუდამ სცდილობენ გაიგონ ყოველივე ეს. ამისათვის ისინი არავითარ საშუალებას არ ზოგავენ. მათ ყავთ აუარება ჯაშუშები და აგენტები, რომ შეიძინონ სამხედრო ცნობები, რომლებიც შეადგენენ წითელი ჯარის საიდუმლოებას.

ისმება კითხვა: რატომ ასე თავგამოდებით სცდილობენ ჩვენი მტრები—იმპერიალისტური სახელმწიფოები—წითელი ჯარის სამხედრო საიდუმლოების გაგებას?

იმიტომ რომ, როცა მათ ეცოდინებათ თუ რამდენათ ძლიერია წითელი არმია, როგორ არის ის შეიარაღებული, მაშინ მათთვის უფრო იოლი იქნება ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლის წარმოება. როცა კი მტერი მოკლებულია ყოველივე ასეთ ცნობას, მაშინ მისთვის ძნელია ჩვენთან ბრძოლა. აი ამიტომ სცდილობენ მუშების და გლეხების მტრები წითელი არმიის სამხედრო საიდუმლოების გაგებას.

ამიტომაც ჩვენი მოვალეობას და ამოცანას შეადგენს ყოველმხრივ დავიცვათ სამხედრო საიდუმლოება, როგორც მშვიდობიან დროს, ისე განსაკუთრებით ომიანობის დროსაც.

სამხედრო საიდუმლოების დაცვის შესახებ მუდამ უნდა ახსოვდეს ჩვენ წითელ არმიელებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა ცვალებადელებს, რომლებიც ჯერ კიდევ სავსებით არ არიან გაცნობილი სამხედრო საქმის ყველა მხარეებს.

მათ არას დროს არ უნდა გადასცენ თავის ახლობლებს, ნაცნობებს, თუნდაც მშობლებსაც კი არავითარი ისეთი ცნობა, რომელიც მათ ნაწილის სამხედრო საიდუმლოებას შეადგენს.

მაგრამ უნდა დააჭირო კბილი ენას! ენამრავლობა ასეთ შემთხვევაში ყოვლად დაუშვებელია! არ უნდა დაივიწყო, რომ მტერი მუდამ მოდარაჯებულია და თითეულ შენ თავდაუჭერლობას ის დიდათ გამოიყენებს.

ლაპარაკის დროს, ყაზარმის ან ბანაკის გარეშე, წითელ არმიელი მუდამ ფრთხილად უნდა იყოს! მუდამ უნდა ახსოვდეს სამხედრო საიდუმლოებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს.

სამხედრო საიდუმლოება სასტიკად უნდა იქმნას დაცული!

## „ფრთხილად მოსახვევებში".

### „პრავდას" წერილი.

„ინგლისი დღეს გამოდის, როგორც საერთაშორისო მთავარი ჟანდარმი.

ფეხ-ქვეშ შერყეული ნიადაგი, ეკონომიური დაქვეითება, კოლონიებისა და თვითგამორკვეულ სამთავროების წინააღმდეგობა, საფრთხე ჩინეთის მხრივ, შიში, რომ არ დაჰკარგოს ინდოეთზე ბატონობა—ყველაფერი ეს ჰხდის ინგლისს ურეაქციონერეს ძალად, რომელიც ყოველგან დაძრწის და ადგენს კავშირებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, აწყობს კამპანიებს და ამზადებს თავდასხმებს.

ამას კარგად ხედავს ზოგიერთი ბურჟუაზიული წრეები. მაგ. გორც ბერნჰარდი ერთ გაზეთში პირდაპირ ლაპარაკობს ინგლისის მიერ „საღვთო კავშირის" შექმნის შესახებ რუსეთის რევოლიუციის წინააღმდეგ და ინგლისის ცდებზე—ჩაითრიოს ამ კავშირში გერმანიაც. ბერნჰარდი იცავს გერმანიის ლიგაში შესვლის საკითხს და იმავე დროს მოითხოვს, რომ გერმანიის პოლიტიკა სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყოს.

„გერმანიისათვის მეტად სულელური ნაბიჯი იქნებოდა—სწერს ბერნჰარდი—რომ ის გამოსულიყო რუსეთის წინააღმდეგ. „საღვთო კავშირი" ბოლშევიზმის წინააღმდეგ ისეთივე უჭკუობაა, როგორც მეტტერნიხის ნეტარხსენებული საღვთო კავშირი შინაურ რევოლიუციონურ მისწრაფებათა წინააღმდეგ".

არა ბოლშევიკები, არა რომელიმე „ზინოვიევი", არა კომინტერნი და ჩიჩერინი, არამედ თვით ბურჟუაზიული და მეტად ავტორიტეტული ჟურნალისტიც კი აღიარებს, რომ ინგლისი აწყობს ჩვენს წინააღმდეგ შემოტევას, ინგლისი რაზმავს ჩვენს წინააღმდეგ ყველასა და ყოველს; ყოველივე ამან შეიძლება გამოიწვიოს საშინელი არევ დარევა და სამოქალაქო ომი გერმანიაში, თუ რომ ის ჩათრეულ იქნება ომში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მაგრამ რა არის საჭირო?

აქ საჭიროა აქტიური ბრძოლა მშვიდობიანობისათვის და არა ინგლისის დუდუკზე თამაში, როგორც უკანასკნელ ხანებში ამას სჩადიოდა გერმანიის პრესა. ინგლისის ბურჟუაზია ერთბაშად ახვევიებს ჩვენს წინააღმდეგ თავისი პოლიტიკის მოტორს. მაგრამ მას შესძახებენ მილიონთა ხმები: „ფრთხილად მოსახვევებში, თორემ კისერს მოიტეხ!"

# ახალი რადიო-ამბები

## თავისუფლებისათვის მებრძოლ ჩინეთში.

**საგაფიცვო მოძრაობა გრძელდება. გაიფიცა აგრეთვე უცხოელთა შინა-მოსამსახურენი. უცხოელები ძლივს შოულობენ სურსათს, ვინაიდან მათ ბოიკოტი გამოუცხადა ადგ. მოსახლეობამ.**

**იაპონიას, ინგლისსა და ამერიკას შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება პოლიტიკის საკითხში ჩინეთის მიმართ.**

## გენერალ სიუს დელეგაცია მოსკოვში.

15 ივლისს გერმანიიდან მოსკოვში ჰაეროპლანით ჩამოფრინდა ჩინეთის დელეგაცია გენერალ სიუს მეთაურობით. ეს დელეგაცია სწავლობს ევროპის, ამერიკისა და იაპონიის პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას.

დელეგაცია დარჩება მოსკოვში 10 დღე.

## ჯალათ-ცანკოვის საქმენი.

### კიდევ მკვლელობა.

ბულგარეთის ქალაქ ტირნოვოში მოკლულ იქნა ყოფილი კომუნისტების დეპუტატი გაბროვსკი.

### სიკვდილით დასჯა.

სამხედრო სასამართლომ (ბულგარეთში) მიუსაჯა ბორის ბოგდანოვს სიკვდილით დასჯა მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებისათვის; დანარჩენ 16 ბრალდებულს მიუსაჯეს ციხე სხვა და სხვა ვადით.

## ინგლისის ორმაგი კომედია.

პეკინის დიპლომატიური კორპუსის ინსტრუქციის ასრულებაზე უარი განაცხადა შანხაის მუნიციპალიტეტმა. ამის შესახებ გაზეთი „მინბაო" სწერს, რომ ინგლისი სცდილობს ორმაგი კომედიის თამაშს. პეკინის დიპლომატები ინსტრუქციასთან ერთად ურჩევენ შანხაის მუნიციპალიტეტს იმოქმედონ დამოუკიდებლად და ამ რიგად უნდათ თავს მოახვიონ ბრიტანეთის სამხედრო ძალებს პასუხისმგებლობა მომხდარ ამბებში.

გაზეთი ამბობს: „შანხაის ჭეშმარიტი მმართველი მუნიციპალური საბჭო კი არაა, არამედ ბრიტანეთის მთავარი კონსული".

## სერიოზული კრიზისი ინგლისის მრეწველობაში.

რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ პარლამენტის წევრთა და მუშათა პარტიის ჯგუფმა გადასდო საბჭოთა კავშირში მოგზაურობა ინგლისის მრეწველობის მძიმე მდგომარეობის გამო.

## იაპონია-ინგლის-ამერიკის კავშირი.

იაპონიას, ამერიკასა და ინგლისის შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება ჩინეთის მიმართ პოლიტიკის საკითხში. შეთანხმების მიზანია დათმობის გზების გამონახვა სახელმწიფოებსა და ჩინეთის მოთხოვნილებათა შორის.

## ევანსის უაზრო განცხადება.

ინგლისის თემთა პალატაში სამხედრო მინისტრ ევანსს მისცეს შეკითხვა,—აქვს თუ არა მას ცნობები იმის შესახებ, რომ ჩინეთის მილიტარისტებს ხელს უწყობენ გერმანიის ქიმიკოსები მხუთავი გაზების დამუშავებაში და ეხმარება თუ არა რუსი ექსპერტები მათ სამხედრო გეგმების გამომუშავებაში?

ევანსმა უპასუხა, რომ ეს ცნობები მართლაც მაქვსო.

## გერმანიის კომპარტიის ყრილობა.

ყრილობას ესწრება 70 დელეგატი და 161 სტუმარი.

14 ივლისის დილის სხდომაზე წაკითხულ იქნა ბულგარეთის კომპარტიის ცეკას მისალმების დეპეშა.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს გეშკე, რომელიც ეხება პარტიის საორგანიზაციო საკითხებს და განმარტავს ახალ წესდებას.

## გერმანიის დელეგაცია უკვე შეუდგა პრაქტიკულ მუშაობას.

გერმანიის მუშათა დელეგაცია, რომელიც ამ ჟამად ლენინგრადში იმყოფება უკვე შეუდგა ლენინგრადის ფაბრიკა-ქარხნების მდგომარეობის გაცნობას.

„წითელ-პუტილოველთა" წინადადებით გერმანიის დელეგაცია შეუდგა „წითელ-პუტილოველის" (ქარხანაა) მდგომარეობის გაცნობას, რათა ამომწურავი შეფასება მისცეს „ფორვერტსის" ცილის წამების კამპანიას.

## გაფიცვები გრძელდება.

ჩრდილოეთ ჩინეთში გრძელდება საგაფიცვო მოძრაობა. პეკინის სამთო—სამრეწველო სინდიკატში გაიფიცა აგრეთვე უცხოელთა შინამოსამსახურეები. ვაჭრები არაფერს არ ყიდიან უცხოელებზე. უცხოელები ძლივს შოულობენ სურსათ-სანოვაგეს.

ბოიკოტი უცხოელების წინააღმდეგ სხვა ქალაქებშიაც ვრცელდება.

# ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲐᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲣᲚ ᲡᲐᲛᲡᲯᲐᲕᲠᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ.

## ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ.

### დილის სხდომა.

15 ივლისს, 12 საათსა და 5 წუთზე გაიხსნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სხდომა „პარიტეტული კომიტეტის საქმის“ შესახებ.



ნ. ოკუჯავა
სახელმწიფო ბრალმდებელი.



ს. ქავთარაძე.
საზოგადო ბრალმდებელი.

სასამართლოს შემადგენლობა ასეთია: თავმჯდომარე: გ. ვაშაძე, სასამართლოს წევრები: ი. სტურუა და ი. ცინცაძე.

სასამართლოს სათადარიგო წევრები: პავლე მელაძე და ივანე ბერბერაშვილი.

სახელმწიფო ბრალმდებელი: ნიკოლოზ ოკუჯავა.

საზოგადო ბრალმდებელი: სერგო ქავთარაძე.

დამცველად გამოდიან: ჩერქეზიშვილი ივანე, მესხიშვილი შალვა, გუბელაძე, რიყამაძე, დადიანი შოთა, ბოკერია ევგენი, პოლუმორდვინოვი, ჯაფარიძე ივანე, ნასიძე, ზედგენიძე ივანე, ტატიშვილი ანდრია, მაჭავარიანი იოსებ, გელაზაროვი და ღვამიჩავა.

პასუხისგებაში მიცემულია შემდეგი 47 კაცი:

ანდრონიკაშვილი კონსტან., ონიაშვილი დავით, ჯინორია გრიგოლ, ქარცივაძე ნიკოლოზ, ბილანიშვილი ვალერიანე, ნაკაშიძე ნიკოლოზი, ანჯაფარიძე გიორგი, კალანდარიშვილი აკაკი, ლალარია ესტატე, ფიჩხაია აკაკი, ხურციძე პართენ, ესვანჯია ლავრენტი, ჯავახიშვილი იასონ, კალანდარაშვილი შალვა, ავალიშვილი ივანე, ზერიძე ვლადიმირ, თვალთვაძე, გრიგოლ, გიორგაძე გრიგოლ, იმნაიშვილი ნიკიფორე, ნინიძე კირილე, რცხილაძე გრიგოლ, დადიანი სამსონ, ბოქორიშვილი მიხეილ, იშხნელი მიხეილ, ფანცულაია არტემ, ცინცაბაძე გრიგოლ, ბელთაძე გენადი, კახიანი ნაპოლეონ, მამალაძე ვლასა, შენგელია თეოფილე, იოსელიანი შალვა, ლაშხია ხარიტონ, ძამია ალექსანდრე, ხოფერია სიმონ, პირველი ბიძინა, გაბლიანი ეგნატე, კვირიკაძე ამბროსი, ლორთქიფანიძე ივანე, ჰანიშვილი მიხეილ, ფანობაშვილი იაკობ, ნაცვლიშვილი ვახტანგი, გეგეჭკორი ვლადიმერ, ბოკერია ალექსანდრე, ჩხაიძე ალექსანდრე, გოგოლაშვილი გაბრიელ, ლორთქიფანიძე კონსტანტინე, ბახტაძე აპოლონ.

პირველ სხდომაზე სასამართლომ შეამოწმა ბრალდებულების ვინაობა და მისცა სათითაოდ შეკითხვა ბრალდებულებს იმის შესახებ, მიღებული აქვთ, თუ არა მათ საბრალმდებლო დასკვნა. ბრალედბულებისაგან დასტურის მიღების შემდეგ თავმჯდომარემ მიმართა მხარეებს კითხვით აქვთ თუ არა მათ რაიმე განცხადება დამატებითი მოწმეების გამოწვევის ან სასამართლო გამოძიებისათვის საჭირო მასალებისა და დოკუმენტების მოთხოვნის შესახებ. დამცველები და ბრალდებულები გამოვიდნენ მთელი რიგი განცხადებებით მოწმეების გამოწვევის და საქმეში ზოგიერთი მასალების შეტანის შესახებ.

სასამართლო გავიდა სათათბიროდ და ნახევარი საათის შემდეგ დააკმაყოფილა დამცველთა და ბრალდებულთა მოთხოვნილებანი, რამდენადაც მათ შეუძლიათ ახალი ცნობები მისცენ სასამართლოს და გააშუქონ თითეული ბრალდებულის მოღვაწეობა სხვა და სხვა დროს.

ამის შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. ვაშაძის განკარგულებით შემოყვანილი იქნენ მოწმეები, რომელთაც ჩამოერთვა ხელწერილი, როგორც მიღებულია კანონით იმის შესახებ, რომ ისინი სრულ სიმართლეს ეტყვიან სასამართლოს.

გამოწვეულია სულ 57 მოწმე.

საღამოს სხდომაზე ბრალდებულებს წაუკითხეს საბრალმდებლო ოქმი.

**მესამე სხდომა. 16 ივლისი, სხდომა იხსნება დილის ათ საათზე.**

გრძელდება საბრალდებულო დასკვნის კითხვა, რომლის შემდეგაც სასამართლოს თავჯდომარე გ. ვაშაძე განუმარტავს ბრალდებულთ იმ მუხლების შინაარს, რომელთა მიხედვითაც ისინი არიან მიცემულნი პასუხისგებაში.

სახელდობრ: პირველი მუხლი: საქართველოში შეიარაღებულ აჯანყების მოწყობა საბჭოთა მთავრობის დამხობის მიზნით:

მესამე: უცხო სახელმწიფოსთან კავშირი ინტერვენციის მიზნით; მეოთხე: ტერორისტული აქტების მოწყობა და მეხუთე: ჯაშუშობა.

თავმჯდომარის ცალ-ცალკე შეკითხვაზე ზოგიერთ ბრალდებულმა არ იცნო თავი დამნაშავეთ ყველა წამოყენებულ მუხლებში და განაცხადა, რომ ამის შესახებ ახსნა განმარტებას ისინი მისცემენ საქმის მსვლელობის დროს.

ამის შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარემ შეეკითხა ბრალდებულებს, თუ რა წესით სურთ დაკითხულნი იყვენ, ე. ი. მოწმეების დაკითხვამდი თუ მის შემდეგ.

უმრავლესობამ მოისურვა წინასწარ მოწმეების დაკითხვა.

ამის შემდეგ თავმჯდომარე შეეკითხა მხარეებს, თუ როგორია მათი სურვილი ამ საკითხის შესახებ.

სახელმწიფო ბრალმდებელმა ნ. ოკუჯავამ განაცხადა, რომ კანონის ძალით პირველად დაკითხულნი უნდა იყვენ მოწმენი, მით უმეტეს, რომ ასეთია თვით ბრალდებულთა უმრავლესობის სურვილი.

დამცველების მხრივ მესხიშვილმა სთხოვა სასამართლოს რომ ჯერ ბრალდებულთა ჩვენება მოესმინათ და შემდეგ დაეკითხათ მოწმეები.

ამასთანავე მან დაუმატა, რომ ამ საკითხის გადაჭრა კანონით სავსებით დამოკიდებულია სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

ხანმოკლე თათბირის შემდეგ სასამართლომ გამოაცხადა, რომ დაკმაყოფილებულია სახელმწიფო ბრალმდებელის წინადადება, პირველ რიგში მოწმეების დაკითხვის შესახებ.

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲐᲙᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲔᲡᲘᲐ.

## ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ.

მესამე სხდომა იხსნება სახალხო ბაღში საღამოს 6 საათზე ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით.

სესიამ საღამოს სხდომაზე მოისმინა ამხ. ვარძიელის მოხსენების გაგრძელება.

თავის მოხსენებაში ამხ. მომხსენებელი ეხება სასამართლოს წყობილების რეორგანიზაციას. იგი აღნიშნავს რომ ამდენი ხანი არ იყო გარკვეული იუსტიციის სახ. კომისარიატის და საოლქო სასამართლოების ფუნქციები. აქ ადგილი ჰქონდა პარალელიზმს, რაიც უნდა ჩაითვალოს მავნე მოვლენათ.

სასამართლოს წყობილების დებულების ცვლილებების დროს ჩვენ ვხელმძღვანელობდით სრ.საქ. იუსტიციის მუშაკთა ყრილობის დადგენილებებით და საბჭოთა კავშირის ცაკის მიერ შემუშავებული პრინციპიალური დებულებებით.

შემდეგი დამატებები და ცვლილებები ეხება საკასაციო სასამართლოებს, სასამართლოს უბნების განსაზღვრას, სამხ. მოსამართლეთა ჯამაგირის განსაზღვრას და სხვა.

**ᲩᲠᲓᲘᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.**

ამხ. ვარძიელის მოხსენების შემდეგ, მეორე მოხსენებით სამხრეთ და ჩრდილო ოსეთის გაერთიანების შესახებ გამოვიდა ამხ. ტაკოევი.

— ამხანაგებო, მე გამოგზავნილი ვარ თქვენთან ჩრდილოეთ ოსეთის ცაკის მიერ, რომ გავიკეთოთ თქვენ ინფორმაციული მოხსენება სამ. და ჩრდილო ოსეთის გაერთიანებათა შესახებ. ოსები, ისედაც არ წარმოადგენენ დიდ ერს რომ მათში შეიძლებოდეს დიდი კულტურულ-ეკონომიური მუშაობა მათი ეროვნული აღორძინებისათვის. ეს პატარა ერი მიუხედავათ მისი სიპატარავისა კიდევ გაყოფილია ორ ნაწილათ და რომ ეს დაქსაქსულობა მოისპოს გადავსწყვიტეთ მათი გაერთიანება.

შემდეგ მომხსენებელი განმარტავს თუ რატომ აიღო ჩრდილოეთ ოსეთმა საქართველოს ორიენტაცია, რა მნიშვნელობა ექნება ამ გაერთიანებას და სხვა.

**ᲛᲘᲡᲐᲡᲐᲚᲛᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ.**

ამხ. ტაკოევის სიტყვის საპასუხოთ გამოვიდა მისასალმებელი სიტყვით ამხ. მახარაძე. საქ. ცაკის სახელით სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ამხ. გეგელიამ (აფხაზეთიდან), თავდგირიძემ (აჭარიდან) და ჯატიევმა (სამხ-ოსეთი).

**ᲠᲔᲖᲝᲚᲘᲣᲪᲘᲐ.**

ამხ. ტაკოევის მოხსენების შემდეგ სესიამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სესია ესალმება ოსეთის გაერთიანებას და უერთდება დადგენილებას გაერთიანებული ოსეთის საქართველოს ფარგლებში შესვლის შესახებ.

რეზოლიუციის მიღების შემდეგ სესიამ მოისმინა ამხ. ვარძიელის უკანასკნელი მოხსენება.

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 1925—26 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ.**

საქართველოს 1925—26 წ. ბიუჯეტის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში ამხ. ლონტი. მომხსენებელი ვრცლად ჩერდება ჩვენი ბიუჯეტის საერთო ხასიათზე, თემის ბიუჯეტზე და განმარტა ვრცლად ჩვენში სათემო ბიუჯეტის შემოღების მნიშვნელობა ჩვენი სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეში.

# ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲢᲔᲠ-ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲥᲘᲛᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲝ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

1902 წ. დაბადებულ ცვალებად შემადგენლობის პირველი წლის შეკრება 15 ივნისიდან სწარმოებს, ამ საქმის თითქმის ერთი თვის პრაქტიკა გვაქვს. ამიტომ ინტერეს მოკლებული არ იქნება ჯამი გაუკეთოთ აღნიშნულ შეკრების საექიმო და სასანიტარო საქმიანობას, ავწონ-დავწონოთ მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები და ამით მეცადინობის დანარჩენ დროის განმავლობაში ავიცდინოთ აქამდე შემჩნეული შეცდომები.

როგორც უკვე ვიცით აღნიშნულ ცვალებად შემადგენლობის საექიმო და სასანიტარო დახმარების ორგანიზაცია წამლების გაცემით ევალებათ ადგილობრივ სამოქალაქო ჯანმრთელობის ორგანოებს. ამ მიზნით შეთანხმება მოხდა ცენტრში და საქართველოს ჯანსაღკომმაც შესაფერისი განკარგულებაც გასცა ადგილობრივ ორგანოების მიმართ დეტალური ინსტრუქციების დაგზავნით. მაგრამ, როგორც ყოველთვის ყოველ ახალ საქმეს, ამ შემთხვევაშიც იქმნა დაშვებული ზოგიერთი შეცდომები, რაშიდაც ადგილობრივ საქმის გაცნობამ დაგვარწმუნა. სამოქალაქო ორგანოებმა თავისი სამოქალაქო წესებით მიუდგა სამხედრო ტერნაწილებსაც. როგორც მოგეხსენებათ, სამხედრო ორგანიზაციას აქვს თავისი სპეციალური თვისებები. ეს თვისებები განსაკუთრებულ ხასიათს ღებულობენ ტერ-შეკრებების დროს. აქ ყოველი დარგი ერთ მიზანს უნდა ემსახურებოდეს, რაც შეიძლება ხელი შეუწყოს ცვალებად შემადგენლობის მომზადებას, რადგან შეკრების დრო მეტად განსაზღრულია. დღემდე არსებული საექიმო დახმარება კი ამ გარემოებას ანგარიშს ვერ უწევდა, განსაკუთრებით ზოგიერთ წერტებზე. ავათმყოფთა მიღება ვერ იყო დაწესებული განსაზღვრულ დროს. გარდა ამისა წ. არმიელი ექიმის გასინჯვის შემდეგ ღებულობდა მხოლოთ რეცეპტს, რომელიც მასვე მიქონდა მაზრის ჯანინსპექტორთან დასამოწმებლად, შემდეგ კი მიდიოდა აფთიაქში და მხოლოდ ამ რთულ პროცედურის შემდეგ ღებულობდა წამალს.

ეს მას უკარგავდა თითქმის მთელ დღეს. ასეთი წესი მიღებული ჩვეულებრივ მოქალაქისათვის, წ.-არმიელისათვის უსათუოდ ხელსაყრელი ვერ იქნება. ან კიდევ ავადმყოფი წ. არმიელი, რომელსაც ესაჭიროება მხოლოდ რამოდენიმე დღით მწოლიარე მდგომარეობა არ თავსდება საავათმყოფოში, რადგან ამისთანა შემთხვევაში ჩვეულებრივ ავადმყოფ მოქალაქეს არ აწვენენ საავადმყოფოში საწოლების სიმკირის გამო. თუ უკანასკნელ შემთხვევაში მოქალაქეს აქვს თავისი ბინა, რომელიც ჰყოფს მას თავის მეზობლისაგან, იქ თავსდება პირველ შემთხვევაში წ.-არმიელი კი უნდა მოთავსდეს საერთო ყაზარმაში, სადაც რამოდენიმე ათეული არის მოთავსებული. ეს დასაშვები არ არის და ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ მათი გამოცალკევებისათვის. რასაკვირველია, მოუხერხებელს ჩვენ ვერ მოვთხოვთ ადგილობრივ ორგანოებს, მაგრამ უპირატესობა, რომ უნდა მიენიჭოს ამ შემთხვევაში არმიელს, ეს ჩვენის აზრით უდავოა. სამწუხაროთ, ადგილობრივად უმეტეს წერტებზე ძირითადი მედპერსონალი არა გვყავს, რადგან შტატიც ამის ნებას არ გვაძლევს, ამიტომ წერტების ხელმძღვანელ უფროს შემადგენლობამ ამ მხრით მათი მაგივრობა უნდა გასწიოს და ადგილობრივად უნდა შეუთანხმდეს სამოქალაქო ჯანმრთელობის ორგანოებს და დაუმტკიცონ მათ საექიმო და სასანიტარო დახმარების სამხედრო ორგანიზაციის თავისებური თვისებებთან შეთანხმების საჭიროება.

(გაგრძელება იქნება).

# ᲥᲘᲛᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲥᲘᲛᲘᲣᲠ ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ.

ქიმიური მრეწველობა, გარდა იმისა, რომ დიდ როლს თამაშობს ქვეყნის თავდაცვისა და მიწის განოყიერების საქმეში, აძლევს კიდევ სასოფლო მეურნეობას სხვა ნივთიერებასაც, რომელიც მეტად აუცილებელია მისთვის. ასეთი ნივთიერებაა ზოგიერთი საომარი გაზები, რომლებიც აუცილებელია სასოფლო მეურნეობაში მავნებლებთან საბრძოლველად.

მავნებლები ეწოდება საზოგადოდ სხვა და სხვა წვრილ ცხოველებს, მწერებსა და თვალით ძნელად დასანახავ არსებებს, რომლებიც აფუჭებენ და ანადგურებენ ხეებს, მცენარეებს, ნათესებს, ბოსტნებს, ბაღებსა და სხვა.

ასეთ პატარა, მაგრამ აურაცხელ მტრებთან ბრძოლა წინად მეტად ძნელი საქმე იყო და ხშირად მიზანსაც ვერ აღწევდა.

ეს დამოკიდებული იყო იმაზე, რომ წინად არ იცოდენ მავნებლებთან ბრძოლის სხვა და სხვა საშუალება, არ იცოდენ თუ რა ნივთიერება ეხმარათ ამისათვის და ბოლოს, არც კი ჰქონდათ საჭირო ნივთიერებათა საკმაო რაოდენობა, ვინაიდან ჩვენი ქიმიური მრეწველობა განუვითარებელი იყო.

ხოლო იმავე დროს კი მავნებლები, განსაკუთრებით, თაგვები, კალია და სხვა, დიდ ზარალს, აყენებდენ სასოფლო მეურნეობას. მხოლოდ ამ ბოლო დროს გამოგონებულ იქნა ნამდვილი საშუალებანი მავნებლებთან საბრძოლველად.

ამ მიზნისთვის ხმარობენ სამხედრო მომწამვლელსა და სხვა ქიმიურ ნივთიერებას. და უნდა ითქვას, რომ ბრძოლა მავნებლებთან წარმატებით მიდის და მრავალი მილიონი ქცევა ნათესი, მინდვრები და სხვა, დაცულია ამ საშუალებათა წყალობით.

სასოფლო მეურნეობისათვის მეტად მნიშვნელოვანი სამხედრო ქიმიური და ქიმიური ნივთიერებანი არიან დარიშხანა და—მისი შენაერთები და სხვა, რომელთა შესახებ შემდეგ ნომერში გვექნება ლაპარაკი.

ლ. ვორონოვი.

# ჩვენს ნაწილებში.

## ჩვენს სამხკორთა შორის.

**მეხუთე ლეგ. სამხკორთა მუშაობა.**

ამ უკანასკნელ ხანებამდე სამხკორთა მუშაობა ლეგიონში ძლიერ მოისუსტებდა. არ იყო ჩამოყალიბებული სამხკორთა წრე და არც ნაწილის ცხოვრების შესახებ იწერებოდა პრესაში სისტემატიურად.

ამჟამად მუშაობა უფრო გამოცოცხლდა. ახალი ლეგსამხკორი სათავეში ჩაუდგა წრეს და დავიწყეთ მუშაობა. წრის მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს. მუშაობის ცენტრი გადატანილია წითელ არმიელთა ფართო მასაში. ყოველგვარ ზომებს ვიღებთ, რომ ისინი ჩავითრიოთ მუშაობაში.

საჭიროა ასეთივე ხასიათის მუშაობაში ლეგიონის მეთაურთა შემადგენლობამაც გამოიჩინოს თაოსნობა და ხელი შეუწყოს იმ მუშაობას, რომელიც სწარმოებს განუვითარებელი ამხანაგების საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსაყვანათ.

მათი დახმარება აუცილებლად დიდ შედეგებს მოგვცემს.

სამხკორი წ. არმ. რუსპირელი.

## გავხსენით კლუბი.

**2-რე საარტილერიო ლეგიონი.**

10 ივლისს 2-რე არტლეგიონში მოხდა კლუბის საზეიმო გახსნა. კრებას დაესწრო ლეგიონის მთელი შემადგენლობა, რომელიც მეტად ნასიამოვნები იყო ამ მნიშვნელოვანი მიღწევით ნაწილის ცხოვრებაში.

საზეიმო კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. სტურუა. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ მრავალი ამხანაგები, რომლებიც თავის სიტყვებში გულწრფელად ესალმებოდენ კლუბისგახსნას, და ხაზგასმით აღნიშნავდენ მის დიდ დანიშნულებას წითელი ჯარის კულტურულ პოლიტიკურად მომზადების საქმეში.

მისალმებების შემდეგ ახალ კლუბში პირველად დაიდგა ლეგიონის წითელ-არმიელების მონაწილეობით წარმოდგენები „შეშინებული ანთიმოზი“ (ქართულად) და „წითელი ღენერალი“ (რუსულად). პიესები მშვენივრად იქნენ შესრულებული და კარგი შთაბეჭდილებაც დასტოვეს საზოგადოებაში.

შემდეგ საღამო დაამშვენა კონცერტულმა განყოფილებამ.

პირველად გამოვიდა მეორე საგაუბიცო ბატარეის გუნდი, რომელმაც შეასრულა ქართული და კახური სიმღერები.

მეორე განყოფილება დაიწყო ნადიმით. მესამე ნაწილი კი გაიხსნა გურული სიმღერებით. იმღერეს მრავალი ცნობილი და რჩეული გურული სიმღერები, რამაც აღფრთოვანებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება.

საერთოდ კლუბის გახსნას დიდი სიხარულით მოელოდენ ჩვენი ტერ არმიელები და იმედი გვაქვს ამ იმედებს გაამართლებს ახლად გახსნილი კლუბის გამგეობა თავისი საქმიანობით.

სამხკორი ილ. ნავრუზაშვილი.

## მოგვეცით სასადილო.

**მეხუთე ლეგიონის სამნეო ასეულში.**

მეხუთე ლეგიონის სამნეო ასეულში არა გვაქვს სასადილო ოთახი. სადილებისა და ვახშმების ჭამა გვიხდება გარეთ წვიმასა და სიცხეში. ხშირად მოგვისწრებს ხოლმე წვიმა და ჩვენი ჯამებით გავრბივართ თავშესაფარავათ, მაგრამ იმასაც ვერ ვნახულობთ. რა იქნება რომ სასადილოთ დაგვითმონ ერთი ოთახი? შეუძლებელია ასეთი უყურადღებობა.

ამას გარდა ლეგიონში გვყავს 25 ღორი, რომლებსაც გარეთ სადილობის დროს ვერ ვიცილებთ. ლაფში ამოთხვრილები შამოძვრებიან ეზოში დადგმულ მაგიდების ქვეშ და ასეთი სიბინძურის სუნს აყენებენ, რომ არა თუ სადილის ჭამა, არამედ იქ გაჩერებაც შეუძლებელია. ხშირად თუ მარჯვეთ არ ვიქენით პურსაც გვტაცებენ.



ლეგიონის ეზოში დაგროვილია აგრეთვე აუარება ნაკელი—მთელი ზვინი. არ ვიცი რატომ სამნეო ნაწილის უფროსი ნაკელს არ ყიდის და ეზოში გამდგარ სუნთან ერთად ღორებიც ხელს უწყობენ მის გაფანტვას.

საჭიროა დროზე მოელოს ბოლო ყველა ამ დაუდევრობას და გაგვანთავისუფლონ ასეთი სიბინძურისაგან.

სამხკორი სიმართლე.

# ბანაკის ცხოვრება და მუშაობა.

## სროლაში გავიმარჯვეთ.

**პირველი საარტილერიო ლეგიონი.**

5 ივლისს ჩვენი საარტილერიო ლეგიონი გავიდა კავკასიის წითელ დროშოვან არმიის საარტილერიო ნაწილების შეჯიბრზე სროლაში.

ამ დღეს დილიდანვე დიდ მზადებაში ვიყავით. შეჯიბრზე გასვლა ძლიერ გვახარებდა, რადგან ბევრ ჩვენგანს ჰქონდა საკუთარი თავის იმედი.

დილასვე მივედით შეჯიბრისათვის დანიშნულ ადგილზე, სადაც თანდათან იკრიბებოდა არმიის ყველა საარტილერიო ნაწილები. თბილისიდან კი ჩამოვიდენ შეჯიბრზე დასასწრებლად ამხ. ამხ. ორჯონიკიძე, ფ. მახარაძე, შ. ელიავა, ორახელაშვილი და კავკასიის წითელ დროშოვან არმიის მთავარსარდალი ამხ. კორკი.

ამ ამხანაგების თანდასწრებით მოეწყო მთელი არტილერია და დაიწყო სროლა პირდაპირი დამიზნებით.

ჩვენი არმიელები მთელ ძალღონეს იკრებდენ და მოიხმარეს მთელი საარტილერიო დახელოვნება, რამაც უშედეგოთ არ ჩაიარა.

პირველი პრიზი საუკეთესო სროლისთვის მიზანში მიიღო ქართულმა არტილერიამ.

ამან ერთხელ კიდევ აღაფრთოვანა ჩვენი არმიელები და გამარჯვებულები გამოვეშურეთ საცხოვრებელი ადგილისაკენ.

სამხკორი ვ. ლოლომაძე.

## ქართული მეთაურთა სკოლა ს. ტეზერში.

ივნისის უკანასკნელ რიცხვებში ჩვენი სკოლის კურსანტები ორკესტრით გაემგზავრენ შეფობის ქვეშ აყვანილ სოფელ ტეზერში.

შამოვიერთეთ 21 თე რუსული სკოლის კურსანტებიც და გაუყევით ს. ბეკამისაკენ მიმავალ შარა გზას. სოფელ ბეკამში სხვა სამხედრო ნაწილიც მისულიყო და მიტინგის შემდეგ გაემართად მხიარული ცეკვა თამაში. ორკესტრის ლეკურზე სოფლის გლეხებთან ერთად არმიელები გატაცებით უვლიდენ დავლურს.

სოფელ ტეზერში შესვლა ერთ მხიარულებად გადაიქცა. ადგილობრივი გლეხები გამოგვეგებენ და გვესაყვედურებოდენ:—რად არ მოგვინახულეთ ამდენ ხანსო.

შევერიეთ თავმოყრილ გლეხებში და გავმართეთ ბაასი სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე. ისინი დაწვრილებით გვაცნობდენ სოფლის მდგომარეობას და მათთვის მტკივნეულ საკითხებს.

ცოტა ხნის შესვენების შემდეგ გაიმართა კრება. პრეზიდიუმში სხვათა შორის არჩეული იქნა ორი ქალი.

ვრცელი მოხსენება წითელი ჯარის ცხოვრების პირობების შესახებ გააკეთა ამხ. არობელაძემ.

ამხ. შეეხო აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო გადასახადებს და მრავალი საჭირო განმარტება მისცა გლეხებს, რამაც ისინი ძლიერ ასიამოვნა.

კრების დასრულების შემდეგ კურსანტებმა გამართეს ინსცენიროვკა. ამასობაში შუადღემაც მოაღწია, გამოვემშვიდობეთ გლეხებს და გავეშურეთ ბანაკისაკენ.

სამხკორი ქვის ჯვარელი.

## ასეთი მოპყრობა დაუშვებელია.

ს. ს. ს. რ. ტერსამმართველოში საექიმო დახმარების საქმე ვერ არის კარგად დაყენებული. მართალია გვყავს სპეციალურად დანიშნული ექიმი ამხ. გულისაშვილი, მაგრამ ეს ამხანაგი როგორც დაგვანახა ერთმა შემთხვევამ, ვერ აქცევს ავადმყოფ წითელ-არმიელებს შესაფერ ყურადღებას.

მისი ასეთი საქციელი მაშინ უფრო შესამჩნევია, როდესაც ჩუმი და მოხათრებული კაცი შეხვდება. ასეთ მაგალითს ადგილი ჰქონდა გადამწერ წითელ-არმიელის—გოგელიასადმი. ეს ამხანაგი არა ერთხელ მისულა ხსენებულ ექიმთან დახმარებისათვის, მაგრამ უკანასკნელი ყოველთვის ერთ გაზეპირებული პასუხით ისტუმრებდა: „სიცხე არა გაქვს“ ო, ეს იმ დროს, როდესაც ამხანაგს ეტყობოდა რომ ცუდათ იყო და ბოლოს ლოგინადაც ჩავარდა.

კიდევ კარგი, რომ ვიღაც თავისიანი გამოუჩნდა, თორემ ეხლა ის ცოცხალიც აღარ იქნებოდა. შემდეგ კი საექიმო კომისიამ ის მძიმე ავადმყოფად სცნო და გაანთავისუფლა.

ასეთი მოპყრობა ავადმყოფებისადმი დაუშვებელია, და იმედი გვაქვს ამხ. გულისაშვილი შემდეგში მანც აღარ გაიმეორებს თავის საქციელს.

ჩუმი.

## მოგვეცით პურის შესანახი ქურქელი.

**პირველი ლეგ. სამნეო გუნდი.**

ჩვენს გუნდში ერთ გარემოებას აქვს ადგილი, რაც საერთო წესრიგს და სისუფთავის დაცვას ხელს უშლის. წითელ არმიელებს ხვედრი პურის შესანახათ არა გვაქვს ჭურჭელი.

დროა სამნეო ნაწილის უფროსმა ყურადღება მოგვაქციოს და მოგვცეს პურის შესანახი ჭურჭელი, თორემ მოსალოდნელია ავადმყოფობის გაჩენა.

სამხკორი პატარა.

## როგორ ვმუშაობთ.

**(1-ლი ლეგიონი.)**

ჯერ კიდევ არ გათენებულიყო კარგად. მტრედის ფერი ცა ღრუბლების გროვას აეჭრელებია...

ბანაკის ირგვლივ კიდევ იდუმალი სიჩუმე იდგა. მხოლოდ ზანტად მოსიარულე გუშაგი მოსჩანდა ბანაკის კარვებ შორის.

აგერ გაისმა საყვირის ხმაც. ის საქმისაკენ მოუწოდებს წითელ არწივებს. აქა იქ გაისმის დღიურების ხმები: „ადექითო“.

ორი სამი წუთიც და სურათი იცვლება. ბანაკის მყუდროება დაარღვია თეთრი კარვებიდან გამოსულ არმიელების ხმაურმა. ყველგან გაისმის სიცილი, ხარხარი და ოხუნჯობა. ზოგიერთი პირდაბანილი არმიელები მუჯლუგუნით უმასპინძლდებიან ჯერ კიდევ გამოუფხიზლებელ ამხანაგებს.

...აგერ ყველა მზად არიან. ასეულები და გუნდები მწყობრად გამოიშალენ სამეცადინო ველზე. ისინი გაფაციცებით უგდებენ ყურს თავის უფროსების განკარგულებებს. მწყობრად და ზედმიწევნილობით სრულდება ყველა განკარგულება გაშლილ ველზე.

ეტყობათ, რომ არმიელები თავისუფლად გრძნობენ თავს ამხანაგური დისციპლინის ქვეშ. ყველა შეგნებულად ეკიდება საქმეს.

საუზმისათვის აშვებული საყვირი აცარიელებს სამეცადინო ველს, მაგრამ რამოდენიმე წუთის შემდეგ ჩვენი არმიელები ხელი ხელ ჩაკიდებული ისევ მიეშურებიან პოლიტსაათების მოსასმენათ.

...მაგიდის გარშემო შამომსხდარან ამხანაგები და გულდასმით უსმენენ პოლიტხელს. ამხანაგი ეხება ძველ ყაზარმას, ძველი დროის მჩაგვრელებს, თუ როგორ უმასპინძლდებოდენ ისინი ჩაგრულ ხალხს და სხვა.

ხშირად ამხანაგი პოლიტხელი როლშიც შედის და მაგიდაზე მუჭის დაკვრით გასძახებს ხოლმე:

— მჩაგვრელთა ბანაკი სასიკვდილოთ განწირულია, ის უნდა მოისპოს ერთხელ და სამუდამოდ და ამაში პირველი ტონის მიმცემი ჩვენ ვართ და ჩვენ უნდა ვიქნეთო.

...შეკითხვები მრავლად მისცეს პოლიტხელს. ეს კარგი ნიშანია. სჩანს საუბარს ტყვილა არ ჩაუვლია, ყველა გულდასმით უსმენდა. პოლიტხელიც ატყობს ამას და კიდევ უფრო ხალისიანად იძლევა პასუხს შეკითხვებზე.

...პოლიტსაათის შემდეგ ისევ გაივსო არმიელებით სამეცადინო ველი და იწყება სპორტი.

უყურებ და გაკვირვებული ხარ კაცი. ერთი წუთი შესვენებაც არ არის. ერთი საქმის შემდეგ მეორე კეთდება, ერთს მეორე თან მისდევს და ყველაფერში შეუნელებელი ინტერესი და საქმისადმი სიყვარული გამოსჭვივის არმიელებიდან.

სპორტიული მეცადინეობა არა ნაკლები გატაცებით მიმდინარეობს. აქ თავისუფალი ვარჯიში, იქ ხტომა, აგერ ორძელზე ბზიალი და ყირაზე დადგომა, იქ კი ფეხბურთის გატაცება და განწევრთა დაჭიმული ნერვები პირველობისათვის, აი როგორი ხალისით ტარდება სპორტმეცადინეობა...

საყვირის ხმა ისევ იწვევს დაუსრულებელ ფუსფუსს. იწყება სადილისათვის მზადება...

ლამაზად და სუფთად დალაგებულ სასადილოში, ზოგიერთ უნცროს მეთაურებთან ერთად წითელ არმიელები მადიანად შეექცევიან სადილს.

ხანდისხან გაისმის რომელიმე ოხუნჯი ამხანაგის ხუმრობა და საერთო გულიანი სიცილით იფარება მაგიდა.

— ამხანაგებო დაუჩქაროთ, გვიცდის ლენინის კარვები და ახალი გაზეთები, გავიგოთ რა ხდება ქვეყანაზე—გაისმის ვიღაცას ხმა, რამაც მრავალი ამხანაგები დასძრა კარვებისაკენ.

ლამაზად მორთული ლენინის კუთხეები გაივსო მკითხველი არმიელებით. მკითხველი ბევრია, გაზეთები კი ცოტა. ამიტომ გადაწყდა ხმა მაღალი კითხვის მოწყობა. ირჩევენ ისეთ ამხანაგს, რომელსაც ჩქარი კითხვა შეუძლია და გაუგებარ სიტყვებზე საჭირო ახსნა განმარტების მიცემაც.

ამხანაგი კითხულობს ნელა და გარკვევით.

თითეულ სიტყვას მკაფიოდ იმეორებს და იძლევა განმარტებას. შემდეგ კი იღებს შეკითხვებს არმიელებისაგან და კიდევ უფრო ამარტივებს გაუგებარ აზრებს.

ასეთია ჩვენი ლენინის კარვების ყოველ დღიური სურათები. ამ სამჭედურებში იჭედება მეტად საიმედო და გამძლე ფოლადი ჩვენი წითელი არწივების სახით, რომლებიც საჭიროების დროს სათანადო პასუხს მისცემენ მშრომელი ხალხის მტრებს.

თავისუფალ დროს იშვიათად შეხვდებით ლეგიონში ტყვილა გაჩერებულ არმიელს. მეცადინეობის განაწილებამ ასე გამოზარდა და მიაჩვია ამხანაგები სისტემატიურ შრომას. თავისუფალი წუთები წიგნებსა და გაზეთებთან აქვს შეერთებული და ყველა ცდილობს განვითარდეს, რაიმე შეიძინოს.

სამხედრო მეცადინეობა, სწავლა, სპორტი, ლენინის კუთხეები, სხვა და სხვა გასართობები, საუბრები განუწყვეტლივ მიმდინარეობს ლეგიონში და ასე ხალისიანად მისდევს დღეები ერთმანეთს.

სამხკორი მ. ოდიშარია.

# პარტიული ცხოვრება.

**მეოთხე ლეგიონის 8 და 9-რე ასეულების კომუჯრედი.**

8 და მეცხრე ასეულებში დაარსებულია ერთი კომუჯრედი. 25 დღის განმავლობაში კომუჯრედს სამჯერ ჰქონდა გაერთიანებული კრება. ადგილობრივი ორგანიზაციიდან უჯრედზე მომაგრებული არიან ორი ამხანაგი, რომლებიც სისტემატიურად ესწრებიან ჩვენს კრებებს და ენერგიულად მუშაობენ. ამას გარდა უჯრედის თაოსნობით დაარსებული იქნა. საჰაერო ფლოტის საზოგადოება და რემედასი. აღებული გვაქვს შეფობა სოფ. უდელზე, სადაც ხშირად დავდივართ და უგზავნით გაზეთებს.

ორივე ასეულებში დაარსებულია ლენინის კუთხეები, რომლებშიდაც სისტემატიური მუშაობაა კომუჯრედის ხელმძღვანელობით. ხშირად ტარდება საუბრები, როგორც ქართულ ისე სომხურ ენებზე.

ადგილობრივ პარტორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირი გვაქვს გაბმული. როგორც მათი, ისე ჩვენი წარმომადგენლები დადიან ერთმანეთის კრებებზე და ვეცნობით ერთმანეთის მუშაობას და გამოცდილებებს.

მეთ. აბაშელი.

## მესამე ლეგ. 2-რე კომუჯრედში.

ივლისის თვის პირველ რიცხვებში შესდგა ლეგიონის მეორე და მესამე ასეულების კომუჯრედის სხდომა. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: მოხსენება 14-ტე პარტკონფერენციის მუშაობის შესახებ, საგლეხო განმეორებითი სესხის შესახებ, პარტიაში შესვლის მსურველთა განცხადებების განხილვა, ინდივიდუალური მიმაგრება და სხვა. კრებას დაესწრო მთელი შემადგენლობა.

პარტკონფერენციის მუშაობისა და რეზოლიუციების შესახებ მოხსენება გააკეთა ლეგიონის უფროს ექიმმა ხელიძემ, რომელმაც მეტად გასაგებათ განმარტა ყველა დადგენილებები. იყო მრავალი შეკითხვებიც.

საგლეხო განმეორებითი სესხის შესახებ ილაპარაკა ამხ. გოგიტაშვილმა. ამხ. გააცნო კრებას ობლიგაციების მნიშვნელობა, მისი პირობები და თუ როგორ უნდა შეიძინონ ის ჩვენმა გლეხებმა. ამ საკითხმა დიდი ინტერესი გამოიწვია არმიელებში. მისცეს მრავალი შეკითხვები მომხსენებელს.

შემდეგ განხილული იქნა პარტიაში შემსვლელ ამხანაგების განცხადებები და ერთხმად იქნა დაკმაყოფილებული მათი თხოვნა.

ინდივიდუალურ მუშაობისათვის გამოყოფილი იქნენ ზოგიერთი ამხანაგები, რომლებსაც დაევალათ კრების მიერ სხვა და სხვა მოვალეობის შესრულება და სისტემატიურად უნდა აკეთებდენ მოხსენებებს მუშაობის ირგლივ.

შემდეგ კრებამ კომუჯრედის მდივნის განმეორებით კურსებზე წასვლის გამო აირჩია კომუჯრედის დროებითი მდივანი

სამხკორი გ—ტი.

## ახკომკავშირელთა შორის.

**სამხედრო პოლიტსკოლა.**

ივნისის უკანასკნელ რიცხვებში შესდგა სამხედრო პოლიტსკოლის ახკომკავშირის კრება, რომელსაც უნდა მოესმინა მოხსენება ძველი ბიუროს მუშაობის შესახებ და აერჩია მისი ახალი შემადგენლობა.

კრებას კავშირის ყველა წევრები დაესწრენ. ბიუროს მუშაობის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა მდივანმა ამხ. ურუშაძემ და აღნიშნა თუ როგორი წესით სწარმოებდა ის და რას აქცევდა ის უმთავრეს ყურადღებას. მომხსენებელს მრავალი შეკითხვები მისცეს, რამაც გამოარკვია წევრების საკმაოდ მომზადების დონე. მოხსენებამ გამოაშკარავა, რომ უბრალო—პარტდისციპლინის დარღვევასაც კი არ ქონია ადგილი და ყველა დავალებები პირნათლად სრულდებოდა.

მოხსენების შემდეგ არჩეულ იქნა ახალი ბიურო 5 კაცისაგან. ძველი ბიუროს მუშაობა კი კრებამ დამაკმაყოფილებლად სცნო.

უსურვებთ ახალი ბიუროს შემადგენლობას გამოეჩინოს მეტი ენერგიულობა და საქმიანობა.

კურსანტი შ. ქერქაძე.

# ახალი ამბები.

— **მეორე დივპოლიტგანყოფილებამ** ნაწილებს დაუგზავნა რემედასის შესახებ სამეცადინოთ ლექციების სანიმუშო პროგრამა.

— **ა. ქ. მუშათა და გლეხთა** ინსპექციამ მიმართა ყველა რესპუბლიკების მიწ.-მოქ. სახ. კომისარიატებს გამოიმუშაონ დებულება გლეხებისათვის ტყის შეღავათიან პირობებში გაცემაზე.

— **სასოფლო-სამეურნეო იარაღების** შესაძენათ ხონის საწარმოო ტექნიკუმისათვის, ტფილისის საბირჟო კომიტეტმა გადასდო 1000 მანეთი.

— **საქ. შრომის სახ. კომისარიატმა** დაადგინა შეადგინოს სრული ბიუჯეტი 1925-26 წ. წ. საზოგადოებრივი სამუშაოების მოსაწყობათ.

— **შრომის კომისარიატის** შრ. დაცვის განყოფილებამ დაასრულა ტრამვაის შრომის პირობების გარკვევა.

— **არაზინდოში.** ტფ. დამზღვევმა სალარომ არაზინდოში გაგზავნა ავათმყოფთა მეორე ჯგუფი.

## სამხედრო ტრიბუნალი.

14 ივლისს ქართულ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალმა ამხ. გაბუნიას თავმჯდომარეობით განიხილა 1-ლ ქართულ ლეგიონის წ. მ. ცხელიშვილი ნესტორ სევასტის-ძის საქმე. მას ბრალდება მეორეთ დეზერტირობა. სასამართლოს ძიებით გამოირკვა შემდეგი:

ბრ. ცხელიშვილი მსახურებდა რა 1-ლ ქართულ ლეგიონში წ. მ. გ. წლის 4 ოქტომბრიდან ჩაიდინა 13 დღის დეზერტირობა, რისთვისაც სამხედრო ტრიბუნალის მიერ კონდა მისჯილი 3 თვე საჯარიმო გუნდში მოთავსება. აღნიშნულ სასჯელის მოხდის შემდეგ ბრ. ცხელიშვილი კვლავ გაიგზავნა თავის ნაწილში, სადაც ჩაირიცხა ა. წ. 15 თებერვლიდან.

ა. წ. 24 აპრილს ბრ. ცხელიშვილმა ხელმეორეთ მიატოვა სამხედრო ერთეული, დაჰყო ნაწილის გარეშე 5 დღე და შემდეგ თავისივე ნებით დაბრუნდა ნაწილში. ბრ. ცხელიშვილმა იცნო თავი დამნაშავეთ მეორედ დეზერტირობაში და განაცხადა, რომ ა. წ. 23 აპრილს იგი გასინჯა ექიმ ლომთათიძემ, რომელმაც უთხრა მას ყბაყურა გჭირსო და გადასწყვიტა მისი გოსპიტალში გაგზავნა. შემდეგ მას მოუმატა სიცხემ, მოუნდა ღვინის დალევა, დალია ნახევარი კვარტი და შემდეგ წავიდა თავისი სახლში შორაპნის მაზრაში. ასეთი ჩვენება ბრალდებულის არ შეიცავს სიმართლეს, ვინაიდან ექიმ ლომთათიძიდან ნათქვამი ქონდა მას დაბრუნებულიყო ნაწილში, რადგანაც მისი ავადმყოფობაში ცვლილებები არ აღმოჩნდა.

ტრიბუნალმა მიუსაჯა მას თავისუფლების აღკვეთა, გამსახლში მოთავსებით ერთ წლის ვადით, და ქონების ნაწილის კონფისკაცია, სამოქალაქო უფლებების შეუზღუდველათ.

გნია.

# მეცნიერება და ტეხნიკა

**ახალი როტორიანი პატარა გემი.**

ვისაც შესაძლებლობა ჰქონებია და უნახავს თუ გნებავთ ჩვენი ნავთსადგურები, ხშირად შეამჩნევდა იქ პატარა გემებს, რომლებზედაც ამართულია ტილოები—იალქნები. ამ ტილოების საშვალებით მოძრაობენ ზღვაზე ეს გემები. ამოვარდება ქარი თუ არა გაშლიან ტილოებს და გემიც მისცურავს.

მიუხედავათ ორთქლმავალი გემების შემოღებისა, იალქნიანი გემების საჭიროება მაინც არსებობს, მათ მაინც ხმარობენ.

დაიბადა საჭიროება დატოვებული ყოფილიყო იალქნიანი გემის პრინციპი, მაგრამ ეს უზარმაზარი ტილოს იალქნები შეცვლილიყო უფრო ხელსაყრელ იალქანით, რომელსაც უფრო მეტი ძალა ექნებოდა და გაცილებით უკეთესი იქნებოდა ეკონომიური ხარჯების მხრივაც. ასეთ აღმოჩენამდე მიაღწია გერმანელ ინჟინერმა ფლეტნერიმ. მან გამოიგონა ერთგვარი გოდლები (ცილინდრები), რომლებიც მოთავსებული არიან გემზე და გაცილებით უფრო კარგად ასრულებენ ტილოებიანი იალქნების როლს.

ეს გოდლიც მოძრაობს ქარის საშვალებით და საგრძნობი სიჩქარით ამოძრავებს გემებსაც. ამას გარდა გოდლები ქარის გარდა დამხმარე მამოძრავებელ ძალას ღებულობენ პაწია ელექტრო მოტორებისაგან, რომლებიც მოთავსებული არიან გემზე.

კარგი ქარის დროს გემის მოძრაობის სიჩქარე ამ გოდლის საშვალებით უდრის ისეთი გემის მოძრაობას, რომელზედაც მოთავსებულია 1000 ცხენის ძალიანი მამოძრავებლები. ეს კი დიდ ეკონომიას იძლევა საწვავი მასალის მხრივ.

სხვა უპირატესობანი როტორიანი გემების იმაში გამოიხატება, რომ სჭირდება მოსამსახურეების მცირე რიცხვი, გვიან ცვდება გოდლები. ამას გარდა როტორიანი გემი სრულიად უშიშარია ზღვაზე ძლიერი ქარიშხალის ამოვარდნის დროსაც.

ის მეტის მეტად გამძლეა, რადგან თუ ქარიშხალის დროს შეაჩერეთ გოდლების მოძრაობა მაშინ ქარისადმი წინააღმდეგობა 15-ჯერ უფრო ნაკლები ხდება, ვიდრე ეს არის ტილოს იალქნებიან გემებზე.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც პოტსდამში (გერმანია) გამოცდილი იქნა ერთ როტორიანი პატარა გემი. ეს პირველი ცდა იყო ერთ იალქნიან პატარა გემზე როტორის გამოყენებაზე. გემი როტორიან გემად, გადაკეთებული იქნა ჩვეულებრივ ტილოს იალქნებიან გემიდან,



მხოლოდ საჭიროა ისიც აღინიშნოს, რომ მასზე მოთავსებულია პაწია მოტორი, რომელსაც მოძრაობაში მოყავს ერთი როტორი.

გამოცდამ ბრწყინვალე შედეგები მოიტანა და მისი კონსტრუქტორი (ამგები) ფიქრობს, რომ პატარა გემებისთვისაც ისეთივე კარგი გამოსაყენებელი იქნება მისი პრინციპი, როგორც დიდი იალქნებიანი გემებისათვისო.

ფლეტნერის ცილინდრების პრინციპი ამ ჟამად ავიაციაშიც გადააქვთ. უკვე დაწყებულია მუშაობა, რომ ჰაეროპლანის მოტორი შესცვალონ ფლეტნერის მბრუნავი ცილინდრ გოდლებით. რამდენად მიზნ შეწონილი იქნება ეს ცდა და თუ რამდენად განხორციელდება ის, ამას მომავალი დაგვანახებს, მაგრამ ერთის თქმა მაინც შეიძლება, ზღვაოსნობაში ფლეტნერის გამოგონება თანდათან ფეხს იკიდებს და შესაძლებელია დიდი გადატრიალებაც მოახდინოს.

შესაძლებელია ავიაციაშიც დიდი გამოყენება ჰპოვოს მან.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქ. მ. ლეგიონის მე 2-რე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიაში კანდიდატებად მიღების შესახებ ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს, რომელთა შესახებ თუ ვისმეს მოეპოვებათ რაიმე საწინააღმდეგო მათი პარტიაში მიღების შესახებ, ვთხოვთ გვაცნობონ შემდეგი მისამართით: 1-ლი **ლეგიონის საზამთრო ყაზარმაში მე-2 რე ასეულის კომუჯრედში.**

1) ალექსანდრე მიხეილის-ძე ლაღიძე 2) დავით ერტემის-ძე ვერულაშვილი და 3) ვასილ იოსების-ძე ვაშაკიძე. ყველა ზემოხსენებული წ. მოლაშქრენი არიან უპარტიო.

მე 2-რე ასეულის კომუჯრედის პ.-მ მდივანი ი. სილაგაძე.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ტრანსპორტს.** თქვენი კორესპონდენცია „დაქადებით და პრინციპით არ შეიძლება წითელ არმიელის დასჯა" არ გავა.

**ამხ. წიწაკას.** თქვენი წერილი „პასუხად ამხ. ვასოს" არ გავა. აკლია დასაბუთება.

**ამხ. მ. მამალაძეს.** კორესპონდენცია „არტლეგიონის მეორე ბატარეიაში არ გავა.

**ამხ. ზუმბაძეს.** კორესპონდენცია „უნცროს მეთაურთა სკოლის ცხოვრებიდან" არ გავა. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.


## დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ „ჩვენი აღმშენებლობის" მესამე ნომერი.

**ტფილისის საბჭოს ორგანო.**

**ნომრის შინაარსი:**

**1. საერთო-ნაწილი.**

ტფილისის ალმასკომის საგეგმო კომისიის რეორგანიზაციის შესახებ. ენი—სასოფლო-მეურნეობის გაუმჯობესება. ა. რუხაძე ახალი ეტაპი ჭიათურის მრეწველობაში. ინჟ. ბ. ჰიჰინაძე. წინასწარი მოსაზრებანი კოჯრის ელექტრონის რკინის გზის გაყვანის შესახებ. კანელი ბოროტ-მოქმედება ქალ. ტფილისში 1924 წლის განმავლობაში.

**2. კომუნალური მეურნეობა.**

ინჟ. ნ. ხაჩატუროვი. ზაჰეში 1925 წლის გაზაფხულზე, გ. ჟღენტი ტფილისის ქალაქის ლომბარდის არსებობის წლის თავზე.

**3. საბინაო საქმე.**

ე. განჯუმოვა. ახალი საბინაო კოოპერატიული მშენებლობაში პ. შენგელია. საბინაო საამშენებლო კოოპერაციისათვის სესხის მიცემის საკითხი. მანი ქალ. ტფილისის სახლთმფლობელობა და ბინები 1924 წ. მიხედვით გრ. ლორთქიფანიძე. ბინის კრიზისის შენელებისთვის.

**4. სახალხო განათლება**

კ. ქ. მასწავლებელთა საზაფხულო გადასამზადებელი კურსები მ. კ. ტილისისა და მისი მაზრის სასკოლო ბიბლიოთეკები.

**5. ჯანმრთელობის დაცვა.**

ექ. მ. მარუაშვილი. საჭირო ტფილისის ალმასკომმა სამალარიო სადგური ააგოს. ალ. ჯანყარაშვილი ქლექით დაავადებულის მკურნალობა მზის სხივებით ანუ ჰელიოთერაპია. ნ. მ—ვი. ყოფაცხოვრების გაუმჯობესების გზაზე (წერილი მოსკოვიდან).

**6. ქ რ ო ნ ი კ ა.**

ხელის მოწერის ფასი: 3—თვით—1 მან.. 50 კაპ., 6 თვით 3— მან. 9. თვით 4—მან. 50 კაპ. ქალაქ მცხოვრებთათვის—40—კით მეტი.

ხელის მოწერა მიიღება: გაზეთ „რაბოჩაია პრავდა"-ს კანტორაში რუსთაველის პროსპექტი, № 14. ტფ. ალმასკომის სტატ-ეკონომიურ განყოფილებაში. ოთახი № 31, განოვის ქ. № 4, საქართველოს სახელმწ. გამომცემლობის მაღაზიებში.


ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.